რევაზ გაჩეჩილაძე

ჩემი მეოცე საუკუნე

წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო გეოპოლიტიკისა და ისტორიის კონტექსტში

I ტომი

1901-1953

მეორე შესწორებული გამოცემა

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მადლობა და წინასწარი შენიშვნა

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა ვუძღვნა ყველას, ვინც წიგნის ორივე ტომის ტექსტის სხვადასხვა ვარიანტს გაეცნო ან რჩევით დამეხმარა, კერძოდ ზურაბ აბაშიძეს, თამარ აფაქიძეს, არჩილ გეგეშიძეს, გივი და ირინა გაჩეჩილაძეებს, ალექსანდრე რონდელს, იოსებ სალუქვაძეს, აგრეთვე კოტე და ვახტანგ ცისკარიძეებს.

წიგნის წყაროები უფრო უხვია, ვიდრე ლიტერატურის სიაშია მითითებული, მათ შორისაა ენციკლოპედიები, ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაცია და ძველი საგაზეთო მასალა, რომელიც ოდესღაც წამიკითხავს (და ახლა ვცდილობ გონებაში აღვიდგინო!), აგრეთვე, მამაჩემის ზეპირი მოგონებები XX საუკუნის შესახებ 1974 წლამდე, მის გარდაცვალებამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო მკითხველში სქოლიოების დანახვა სავსებით ნორმალურ ალერგიას იწვევს, დამოწმებები ტექსტში არ მომაქვს, მით უმეტეს, რომ ეს უფრო "დოკუმენტური პროზაა"!

პირველი ტომის ხელახალ გამოცემაში შეტანილია მცირეოდენი ცვლილებები.

ავტორი
12 დეკემბერი, 2011

შესავალი

როდის იწყება XX საუკუნე?

ლოგიკურია, რომ პასუხი ამ კითხვაზე უნდა იყოს – 1901 წელს. ეს წიგნი, მართლაც, ძირითადად 1901-2000 წლების მოვლენების შესახებაა დაწერილი.

მაგრამ აქვე მახსენდება, რას წერდა ფრანგი მწერალი მორის დრიუონი: „*1910 წლის საზოგადოებასა და 1920 წლის საზოგადოებას შორის გაჩნდა უფრო ღრმა, გაუვალი უფსკრული, ვიდრე 1820 წლის საზოგადოებასა და 1910 წლის საზოგადოებას შორის*“.

დრიუონის ეს, არსებითად სოციოლოგიური, მიდგომა, რასაკვირველია, გულისხმობდა XX საუკუნის მეორე ათწლეულში მომხდარი მსოფლიო ომის შედეგს, რომელმაც შეცვალა სამყარო.

თუკი ამ მიდგომას განვავითარებთ, შეგვიძლია დავუშვათ, რომ XIX საუკუნე დამთავრდა 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომთან ერთად, ხოლო XX საუკუნე 1919 წელს დაწყებულა!

იმავე ლოგიკით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ XIX საუკუნე დაიწყო 1789 წელს – ბასტილიის აღებით, ხოლო XXI საუკუნე – 1991 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად თითქოს გაქრა მსოფლიოსათვის უაღრესად სახიფათო „ცივი ომის“ განახლების საფრთხე.

ამ „ქრონოლოგიურ ვარიანტებს“ ყასიდად ვასახელებ – დაუსაბუთებლად! უბრალოდ, მინდა მკითხველს თავიდანვე აღვუძრა კამათის სურვილი.

მართლაც, კირკიტა მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვები: „ეს ხომ დასავლურ-გლობალისტური მიდგომაა? ჩინეთსა და ინდოეთში, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის ლამის ნახევარი ცხოვრობდა და ცხოვრობს, მით უმეტეს აფრიკის შუაგულში, ბასტილიის აღება და საბჭოთა კავშირის დაშლა, შეიძლება

ხალხის დიდ უმრავლესობას საერთოდ არც გაუგია?“

ჩემი პასუხი ასეთია: **გლობალიზაცია, მიუხედავად იმისა, მოგვწონს იგი თუ არა, რეალობაა, და ის დღეს არ დაწყებულა,** ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ იყო გეოგრაფიულად ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ევროპა-აზია-აფრიკის მიმდებარე რეგიონებით შემოზღუდული „მინი-გლობალიზაცია“: მას Pax Romana[1] ერქვა. გლობალიზაციის ნაირსახეობებად ზოგი აცხადებს უფრო ადრეულ ელინიზმის ხანასაც და უფრო გვიანდელ ჩინგისხანის იმპერიასაც.

მაგრამ რეალურად გლობალიზაცია დაიწყო XV საუკუნის მიწურულს, ევროპელთა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან ერთად. XVIII საუკუნის ბოლოდან ევროპოცენტრული გლობალიზაცია მთელ დედამიწას ედება. ეს ვლინდება იმაში, რომ ლონდონის უაითჰოლზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულო ხდება კალკუტასა და კვებეკში, ჩინეთში მოყვანილ ჩაის სვამენ ბოსტონსა და მოსკოვში, მანჩესტერში წარმოებულ ქსოვილს იყენებენ მკერავები სტამბოლსა და ბუენოს-აირესში, პარიზული მოდა ბატონდება ვარშავაში და კეიპთაუნში, ხოლო პუშკინის ტატიანა ლარინა ინგლისელი რიჩარდსონის ფრანგულ ენაზე თარგმნილ რომანს რუსეთის ღრმა პროვინციაში კითხულობს.

XX საუკუნეში ტექნოლოგიაში და კომუნიკაციებში მომხდარი გრანდიოზული ძვრები, ვაჭრობისა და ფინანსების სფეროებში სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების საოცარი ზრდა მართლაც აქცევს მთელ პლანეტას „მსოფლიო სოფლად“.

ამიტომაც, ერთ ადგილას მომხდარმა ლოკალურმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა მოვლენამ მალე შეიძლება მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინოს. XX საუკუნემ ეს ნათლად დაამტკიცა და წიგნში რამდენიმე ასეთი მაგალითია მოყვანილი. მაგალითად, 1914 წელს ტერორისტის მიერ სარაევოში ნასროლმა რამდენიმე ტყვიამ საბოლოოდ ოთხი იმპერია შეიწირა; 1929 წელს ნიუ-იორკის ბირჟაზე მომხდარი ფინანსური კრახის ერთგვარი გამოძახილი იყო გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის აღზევება; 1973 წელს ეგვიპტის ტანკების მიერ სუეცის არხის ფორსირებამ დაარღვია ნავთობის ფასების საუკუნოვანი სტაბილობა და მომდევნო ენერგოკრიზისების წინამორბედი გახდა; 1979 წელს თეირანში მომხდარმა რევოლუციამ არაპირდაპირ განაპირობა, რომ მეოთხედი საუკუნის შემდეგ საქართველო

[1] რომაული მშვიდობა (ლათ.), გადატანით – „წესრიგი რომის წესებით“.

ნახშირწყალბადოვანი რესურსების სატრანზიტო ქვეყნად იქცა, რამაც მის ევროატლანტიკურ მისწრაფებას მეტი რეალობა შესძინა და ა.შ.

ზემოხსენებული 1991 წელი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს სერიოზულ ისტორიულ მიჯნად. იმ წლის 8 დეკემბრის *ბელოვეჟიეს ტევრის* მოვლენამ, როდესაც სამი საბჭოთა სლავური რესპუბლიკის – რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის – ხელმძღვანელები სპონტანურად შეთანხმდნენ საბჭოთა კავშირის უსისხლო დაშლაზე, საბოლოო ჯამში, გავლენა იქონია მრავალ, ერთი შეხედვით დაუკავშირებელ, მოვლენაზე მსოფლიოს მრავალ კუთხეში, რაც ასევე გლობალიზაციის გამოვლინებაა.

უზარმაზარი, სოციალურ-ეკონომიკურად ადრე პრაქტიკულად ერთგვაროვანი პოსტსაბჭოთა სივრცე მრავალფეროვან ძვრებს განიცდის. თუ თავიდან ყველგან თითქმის ერთნაირი პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი სუფევდა, საკმაოდ მალე ასეთი ერთგვაროვნება დაიკარგა. ზოგან ეკონომიკური აღმავლობა შეინიშნება (უფრო ხშირად, მსოფლიო ბაზარზე გაძვირებული იმ ბუნებრივი რესურსების წყალობით, რომლებიც ადრე „საერთო-საკავშირო დოვლათად“ ითვლებოდა, ახლა კი დამოუკიდებელი სახელმწიფოების პოლიტიკურ ელიტებსა და ოლიგარქებს ჩაუვარდათ ხელთ), ზოგან – გაჭირვებით ცდილობენ ჩამორჩენის დაძლევას, ზოგან – ახალფეხადგმული დემოკრატიები გამოჩნდა, ზოგან – დიქტატურები და მმართველი დინასტიები განმტკიცდა.

არ მტოვებს იმედი, რომ მიმდინარე საუკუნის განმავლობაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველო გამორჩეულად დემოკრატიულ და ეკონომიკურად მდგრად სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება.

გლობალიზაციის შედეგია, რომ მსოფლიო სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება იმ პოლიტიკური ორგანიზმის სიუხვით, რასაც სახელმწიფო ჰქვია, და სულ უფრო ერთფეროვანი – ინფორმაციულად და კულტურულად.

ორი ათასი წლის წინ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და დასავლეთ ევროპისათვის პოლიტიკური ცენტრი პირველი (და ერთადერთი ნამდვილი) *რომი* იყო. შეგახსენებთ, რომ „მეორე“ და „მესამე რომად“ თავს აცხადებდნენ *კონსტანტინოპოლი* და *მოსკოვი*. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში კი მსოფლიოს გაუჩნდა „*მეოთხე რომი*“, იგივე Washington D.C., რომელსაც დანარჩენი მსოფლიოს

პრობლემების თავის ტკივილიც ერგო წილად: მსოფლიო ლიდერობა ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა!

მართალია, XXI საუკუნის დამდეგს მოსკოვი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გაძვირებული ნახშირწყალბადოვანი რესურსების წყალობით აშკარად განიცდის ნეოიმპერიალისტურ რენესანსს, დაჟინებით ალაპარაკდა „მრავალპოლარული მსოფლიოს“ შექმნის გარდაუვალობაზე. მაგრამ დღეისათვის არსებული ვითარება წინა აბზაცში აისახა. ამჟამად Pax Americana რეალობაა, თუმცა არავინ იცის, თუ რამდენ ხანს გასტანს ასეთი ვითარება.

სავსებით შესაძლებელია, რომ XXI საუკუნეში ჩინეთისა და/ან ინდოეთის განვითარება მსოფლიოსათვის განმსაზღვრელი გახდეს და გლობალიზაციის ახალი ცენტრი/ცენტრები გაჩნდეს. ვინ იტყვის ახლა, თუ სად იქნება „*მეხუთე რომი*“ თუნდაც ნახევარი საუკუნის შემდეგ?

ისე, გულმხურვალე გლობალისტებმა სასურველია კიდევ ერთხელ გადაიკითხონ ნამდვილი რომის ისტორია, რომ მისი საბედისწერო შეცდომები არ გაიმეორონ.

თავდაპირველი მიზანი და საბოლოო შედეგი

წიგნის ძირითადი მიზანი იყო მეჩვენებინა, რომ საქართველოს წარსულის აღქმა (და, შესაბამისად, მომავლის ოდნავი პროგნოზირებაც კი) მსოფლიო პროცესების კონტექსტში განხილვის გარეშე შეუძლებელია.

მინდოდა მეჩვენებინა, თუ რა *მსოფლიო გეოპოლიტიკურ ოკეანეში უხდებოდა ლავირება ქართველ ერს XX საუკუნეში.* ვფიქრობ, საკუთარი და სხვების მიერაც ადრე დაშვებული შეცდომების გათვალისწინება სამომავლოდ შეიძლება გამოგვადგეს.

არც ერთი ისტორიული მოვლენა არ შეიძლება ამოიგლიჯოს ***დროითი კონტექსტიდან***: ის გასაგები ხდება მხოლოდ თავისავე ეპოქასთან კავშირში.

ვერ გავექცევით ***დროით მასშტაბსაც*** – შორეული მანძილიდან უკეთ ჩანს ზემოხსენებული დროითი კონტექსტი: ის, რასაც დღეს რიგით მოვლენად მივიჩნევთ, წლების შემდეგ სერიოზული ტენდენციის მაჩვენებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

ქვეყნის სრულყოფილად აღქმა შეუძლებელია, თუკი მას

სივრცითი კონტექსტიდან ამოვგლეჯთ. ამიტომაც წიგნში საქართველო განხილულია დანარჩენ სამხრეთ კავკასიასთან და, საკმაოდ ხშირად, რუსეთთან ერთად, რომლებთანაც საერთო სახელმწიფოში ვცხოვრობდით თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

საქართველო არ არის ოკეანეში გადაკარგული კუნძული. ამიტომაც ***მეზობლობის ფაქტორი*** მისთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მდებარეობა და ზომა (ტერიტორია, მოსახლეობა, ეკონომიკა) ყოველთვის ზღუდავდა ჩვენს შესაძლებლობას, გვემოქმედა ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესებზე. საგარეო პროცესები კი დიდ გავლენას ახდენდა ჩვენზე. ყველა პატარა ქვეყნის ხვედრი ასეთია: მისი შიდა პროცესებიც კი, არც თუ იშვიათად, საგარეო ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამდენად, XX საუკუნის საქართველოს ყველა ხელისუფლების ნაღვაწი უნდა შეფასდეს მის ხელთ *რეალურად* არსებული შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით.

პატარა ქვეყანა ჩვეულებრივ ვერ ახდენს გავლენას მსოფლიო პროცესებზე (ძალიან სპეციფიკური გამონაკლისია ისრაელი). ტერიტორიულად დიდი სახელმწიფოებისა და რიცხოვნობით დიდი ერების შესწავლა მეტი განზოგადების საშუალებას იძლევა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „სწორედ იქ (ვთქვათ, აშშ-ში, რუსეთში, ჩინეთში და ა.შ.) წყდება მსოფლიოს ბედიღბალი“. დიდი სახელმწიფოები ხანდახან მზად არიან გაურიგდნენ ერთმანეთს და გაიყონ გავლენის სფეროები (ამ წიგნში მოყვანილია ასეთი მაგალითები).

მაგრამ *ჩვენ სულაც არ გვინდა, რომ პატარა ქვეყნის, ამ შემთხვევაში – საქართველოს, ინტერესები ეწირებოდეს დიდი ქვეყნების ინტერესებსა თუ მათი ლიდერების ნება-სურვილს და ჩვენთვის ნეგატიური მოვლენების განვითარების თავიდან ასაცილებლად ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ.* ამისათვის კი წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებაა საჭირო.

თუმცა ძალიან ვცდილობდი, რომ სამართლიანი ვყოფილიყავი ყველა ერისა და სახელმწიფოს მიმართ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს მაინც *საქართველოს პოზიციიდან* ვაფასებდი; ვაანალიზებდი მათ როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის. ამიტომაც, სხვათა პოზიციიდან დანახული ჩემი მსჯელობა, სავსებით შესაძლებელია, მეტისმეტად პროქართული გამოჩნდეს.

მკითხველს თავიდანვე უნდა ვამცნო, რომ ეს წიგნი არ იძ-

ლევა წინა საუკუნის საქართველოსა და, მით უმეტეს, მსოფლიოს, გეოპოლიტიკისა და პოლიტიკური ისტორიის სრულ სურათს. დროის მონაკვეთები, რომლებიც ნაწილებად დავალაგე, ხშირად არ ემთხვევა ტრადიციულ პერიოდიზაციას. ბევრი ისტორიული მოვლენა, ხანდახან მნიშვნელოვანიც კი, საერთოდ უგულებელყოფილი აღმოჩნდა.

წიგნში არ ვაპირებ არც ისტორიული ფიგურების დახასიათებას, თუმცა ზოგიერთი მათგანის ხსენებას ვერ გავექცევი: *ეპოქა ქმნის პოლიტიკურ მოღვაწეებს, მაგრამ დიდი პოლიტიკოსებიც ქმნიან ეპოქას.*

აქვე დავძენ, რომ ქართული წარმოშობის ისტორიული პირების მიმართ ქართველი ავტორის მიერ გამოხატული კრიტიკული დამოკიდებულება, ალბათ, უფრო ბუნებრივია, ვიდრე მათი განქიქება (ხშირად – სუბიექტური და ღვარძლიანი) ზოგი სხვა ერის მეცნიერთა და ჟურნალისტთა მხრიდან.

XX საუკუნის სხვადასხვა მოვლენის მიმართ წიგნში მოცემული მიდგომა და მათი შეფასება მრავლისათვის კანონიკურად მიჩნეულ თვალსაზრისს არ დაემთხვევა. ეს კი ყველასათვის მისაღები ალბათ არ იქნება.

ჩემი თაობისა და ჩემზე უფროს ადამიანებს შეიძლება არ მოეწონოთ წიგნში მოცემული ჩვეული ისტორიული სტერეოტიპების, რომლებიც მათ XX საუკუნის სკოლაში ჩაუნერგეს, მსხვრევის მცდელობა. თუმცა, უეჭველია, რომ XXI საუკუნეში ისტორიაზე ძველი წარმოდგენები უჩემოდაც შეიცვლება.

ვშიშობ, რომ წიგნის ცალკეული პასაჟები არ მოენონებათ არც სტალინისტებსა და არც ზვიადისტებს, არც ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ, აზერბაიჯანელ თუ თურქ ულტრაპატრიოტებს, არც ამერიკელ ნეოკონსერვატორებსა და არც რუს ნეოიმპერიალისტებს, არც საბჭოთა კომუნიზმის ნოსტალგიით შეპყრობილ ადამიანებს და არც ე.წ. „მენშევიკური ემიგრაციის“ შთამომავლებს.

მართალია, თუკი ისინი კონტექსტიდან არ ამოგლეჯენ ფრაზებს და დანარჩენ ტექსტსაც წაიკითხავენ, დაინახავენ მათ მიმართაც ობიექტური მიდგომის მცდელობას. მაგრამ, გამოცდილება მკარნახობს, რომ ბევრი არ მოიქცევა ასე!

არც კი ვიცი, ვის მოეწონება ეს წიგნი!

მისი დაწერის გამართლებად მივიჩნევ იმას, რომ მინდოდა გამეზიარებინა XX საუკუნის ჩემი შეგრძნება მომდევნო საუკუნის თაობებისათვის, რომელთაც სულ სხვა ეპოქაში უწევთ ცხოვრება.

ამასთან ერთად, წიგნის წერისას ერთი მიზანიც გამიჩნდა – ორიოდე, ჩემი აზრით, განსაკუთრებით უსარგებლო სტერეოტიპის დანგრევა. მიმაჩნია, რომ ერთნაირად მცდარია როგორც მისამღერი – *„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“*, ისე თვითგვემა – *„ყველაზე ცუდები ქართველები ვყოფილვართ, ასეთი მთავრობა მხოლოდ ჩვენა გვყავს!“*

ჩვენი ხალხური თვითკრიტიკულობა არავითარი გამონაკლისი არაა. არც ერთი ხალხი არასოდეს არა არის მთლიანად კმაყოფილი თავისი ხელისუფლებით. ეს ნორმალურია. დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოება ამას ღიად გამოხატავს, ტოტალიტარულში კი – მალვით.

არსებული ხელისუფლებისადმი ხალხის დამოკიდებულების შესახებ ყველაზე მკვახედ ათქმევინა დიდმა პოეტმა ალექსანდრ პუშკინმა თავის ბორის გოდუნოვს ამავე სახელწოდების დრამაში:

„Живая власть для черни ненавистна,
они любить умеют только мертвых.“[2]

მიახლოებითი შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველები არც ერთ ხალხზე არც უარესები და არც უკეთესები არა ვართ. ობიექტური კრიტერიუმები ასეთ შედარებას არც შეიძლება ჰქონდეს. ყველა ხალხს ჰყოლია თითო-ოროლა გენიოსი მაინც. სულელები ყველგან მრავლადაა. ხოლო სხვა ქვეყნების მთავრობები, ხალხის არჩეულიც კი, ჩვენს მთავრობებზე არანაკლებ შეცდომებს უშვებდნენ, უშვებენ და დაუშვებენ.

წიგნში გადმოცემულია ჩემი თვალსაზრისი XX საუკუნის ზოგიერთი საკვანძო პერიოდის შესახებ, არცთუ იშვიათად იმგვარად, რომ გამომეჩინა საქართველოსათვის მათი მნიშვნელობა. ზოგი ისტორიული *ფაქტიცაა* აღწერილი, თუმცა უფრო საჭიროდ მივიჩნიე ყურადღების გამახვილება ისეთ ისტორიულ *პროცესებზე*, რომლებიც ან გეოპოლიტიკით იყვნენ განპირობებული ან გეოპოლიტიკური შედეგი მოჰყვათ.

საბოლოოდ გამომივიდა ***გეოპოლიტიკური ისტორიის*** ტიპის თხზულება.

„***ისტორია***“, ალბათ, ყველამ იცის, რაც არის. „***გეოპოლიტიკა***“ კი, როგორც მეცნიერება, ოდნავ სქემატურად რომ ითქვას,

[2] (რუს.) ცოცხალი ხელისუფლება მდაბიოთათვის საძულველია, მათ სიყვარული შეუძლიათ მხოლოდ მკვდრებისა.

სწავლობს მსოფლიო (ან რეგიონული) პოლიტიკური სივრცის მართვის მიმართ სახელმწიფოთა განსხვავებულ, ხშირად საპირისპირო, მიდგომას.

რაც შეეხება ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენებულ ტერმინს – „*გეოპოლიტიკა*“ – ის ჩვეულებრივ გულისხმობს ხოლმე *საერთაშორისო ურთიერთობებზე გეოგრაფიული სივრცის გავლენას.*

წიგნის სტრუქტურა

პირველი და მეორე ტომები პრაქტიკულად დამოუკიდებელი წიგნებია: მათ აერთიანებთ მხოლოდ საერთო – XX – საუკუნე. სინამდვილეში ისინი საუკუნის სხვადასხვა პერიოდებს ფარავენ – საკმაოდ განსხვავებულ პირველ და მეორე ნახევრებს, თანაც ზღვარის ზუსტად შუაზე გატარება არ გამომივიდა: მსოფლიო ისტორიული განვითარების ლოგიკა თითქოს ისე გვკარნახობს, რომ საუკუნის მეორე ნახევარი 1953 წლიდან იწყება!

გარკვეული განსხვავებაა მიდგომაშიც: პირველი ტომი უპირატესად ისტორიული გეოპოლიტიკის პოზიციიდან უდგება ეპოქას, მეორე კი – ძირითადად პოლიტიკური და სოციალური ისტორიის კუთხით.

XX საუკუნის პირველმა ნახევარმა დიდი უბედურება დააატეხა თავს კაცობრიობას (იქნებ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ კაცობრიობამ, თავისი მმართველების გამოისობით, თვითონ დაიტეხა თავზე მრავალი განსაცდელი?!).

დროის ამ მონაკვეთში მოხდა ორი მსოფლიო ომი, რომლებმაც დემოგრაფიულად დააკნინა ევროპა; გაჩნდა და, საბედნიეროდ, გაქრა კიდეც მსოფლიოსათვის უსაშინლესი მოვლენა, ფაშიზმი და მისი ნაირსახეობა – ნაციზმი; გაჩნდა და საუკუნის მეორე ნახევარსაც გადმოჰყვა (ზოგან, მაგალითად, ჩრდილოეთ კორეაში, დღემდე არც გამქრალა) ასევე საშიში მოვლენა – კომუნისტური ტოტალიტარიზმი; საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს ადამიანებმა შექმნეს ბირთვული იარაღი და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს საკუთარი მოდგმის მომავალი არსებობა.

შევეცადე მკითხველისათვის მიმეწოდებინა ყველანაირი ტოტალიტარიზმის ჩემეული ახსნა და თვალსაზრისი მსოფლიო

ომების დაწყების მიზეზების შესახებ რომლებიც, შესაძლოა, სავსებით ორიგინალური არაა, მაგრამ განსხვავდება საბჭოთა პერიოდიდან გავრცელებული ახსნისაგან, რომელიც უფროსი თაობისათვის ჯერაც „კანონიკურად“ რჩება.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის პირველი ნახევარი მომავლის მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღებით ისარგებლებს, როგორც კაცობრიობის ისტორიასა და გეოპოლიტიკაში დიდი ძვრების ეპოქა.

ძირითადად 1918-1920 წლებში შეიქმნა თანამედროვე ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა.

1920-იანი წლებიდან ეს რუკა ისევ ნაწილობრივ შეიცვალა (ძირითადად იმის გამო, რომ აღდგა მცირე დროით გამქრალი რუსეთის იმპერია, ამჯერად სხვა სახელით), მაგრამ XX საუკუნის ბოლო დეკადაში ევროპაში ძირითადად ისევ 1918-1920 წლების პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონფიგურაცია გამეორდა და იმავე XX საუკუნის შუაგულის გარკვეული *მოდიფიკაციებითურთ* XXI საუკუნეშიც გადმოვიდა. ამ „მოდიფიკაციებში“ უპირატესად იგულისხმება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიისათვის აღმოსავლეთ ნაწილების ჩამოჭრა (რაც გერმანელთათვის მეტად მტკივნეული რამ იყო, მაგრამ მათდა სავალალოდ, მათ წააგეს საკუთარი ლიდერის მიერ წამოწყებული ომი) და პოლონეთის დასავლეთით გადაწევა. ამასთან ერთად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ზოგიერთმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ, კერძოდ, იუგოსლავიამ და ჩეხოსლოვაკიამ, დროის გამოცდას ვერ გაუძლო და დაიშალა.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველი ერისათვის მოხდა მოვლენა, რომლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია: ***მრავალი საუკუნის შემდეგ, თუნდაც ხანმოკლე დროით, აღდგა ერთიანი საქართველო, როგორც სუვერენული პოლიტიკური ერთეული.*** თანამედროვე სახელმწიფოებრიობის მშენებლობა საქართველოს დღეს იმის წყალობითაც შეუძლია, რომ 1918 წელს მან გამოიყენა დამოუკიდებლობის აღდგენის მოულოდნელად გაჩენილი შანსი.

პირველ ტომში საქართველოს ისტორია ზოგჯერ ნაჩვენებია ერთი საშუალო ქართული ოჯახის ცხოვრების ძალიან მოკლე ეპიზოდების ფონზე. ნებისმიერი ოჯახის ცხოვრება კაცობრიობის ისტორიის ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ.

წიგნის ***მეორე ტომში*** განხილული იქნება XX საუკუნის მეორე ნახევარი XXI საუკუნის დამდეგამდე. იქ მთავარი მოქმედი

პირი საქართველოა, საკმაოდ დიდხანს – საბჭოთა კავშირის კონტექსტში. წიგნის ამ ნაწილში გეოპოლიტიკაზე არანაკლები ყურადღება დაეთმობა საქართველოს განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ასპექტებს.

აქვე *პატარა რჩევა* მინდა შევთავაზო შესაძლო მკითხველს:

წიგნის წაკითხვა, ასე მგონია, 2020-2025 წლების შემდეგ აჯობებს. იმ დროისათვის შეფარდებით შემცირდება იმათი რიცხვი, ვინც XX საუკუნის მოვლენების თანამონაწილე იყო, სამაგიეროდ მოიმატებს იმათი რიცხვი, ვისთვისაც XX საუკუნე არცთუ შორეული, მაგრამ უცნობი წარსული იქნება. ინფორმაცია „დაღვინდება“ და უფრო მეტისათვის შეიძლება გახდეს საინტერესო. თუმცა, ვისაც ამდენ ხანს მოცდა არ უნდა, ახლაც შეუძლია წაიკითხოს ის!

ნაწილი I

„მაინც მშვიდობის“ ბოლო წლები

თავი I

საუკუნის დასაწყისის მსოფლიო

ახალი საუკუნის დამდეგი

საუკუნეთა მიჯნაზე და XX საუკუნის პირველ ათწლეულში მსოფლიოში თითქოს მშვიდობა სუფევდა. ლოკალური ომები, რომელთა გარეშე კაცობრიობას ერთი დღეც არ უცხოვრია, ძირითადად, აფრიკისა და აზიის პერიფერიებში მიმდინარეობდა. საუკუნის მეორე ათწლეულში ლოკალური ომები ევროპაშიც დაიწყო, კერძოდ ბალკანეთში, და ისინი უფრო დიდი კატასტროფის პრელუდია აღმოჩნდა.

მაგრამ პერიოდი – საუკუნის დამდეგიდან 1914 წლამდე – მაინც მშვიდობიანად უნდა მივიჩნიოთ.

მოგზაურობა, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებს შორის, თავისუფლად შეიძლებოდა. საზღვარგარეთ წასვლა დამოკიდებული იყო ფულზე და იმ სახელმწიფოში გაცემულ პასპორტზე (საზღვარგარეთულზე: სხვა არც იყო! შიდა პირადობის მოწმობა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა), რომლის ქვეშევრდომიც იყო ადამიანი. სხვათა შორის, პასპორტში ფოტოს ჯერ არ აკრავდნენ და მისი ნამდვილი მფლობელის ზუსტად დადგენა ვერ ხერხდებოდა. მაგრამ პატიოსნება საყოველთაო ნორმად იყო მიჩნეული, ყველაფერი ნდობას ეყრდნობოდა. ამით სარგებლობდნენ ყველა ჯურის რევოლუციონერები, რომელთაც სამშობლოში სერიოზული დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, და ადვილად გარბოდნენ საზღვარგარეთ („პოლიტიკურ ემიგრაციაში მიდიოდნენ“).

რუსული *რუბლი* კონვერტირებადი იყო და მას ისევე

სცემდნენ პატივს, როგორც ინგლისურ *პაუნდს* (გირვანქას), ფრანგულ *ფრანკს*, გერმანულ *რაიხსმარკს*. ამერიკული *დოლარი* შედარებით უცნობი ვალუტა იყო, რაღაც მექსიკური *პესოს* მსგავსი და ევროპაში მას ერთგვარი ეჭვით უყურებდნენ!

ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქებში ახალი საუკუნის დაწყება 1901 წლის 1 იანვარს ზარ-ზეიმით აღინიშნა. სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში ფრანგული შამპანურის (ალბათ ეს იქნებოდა პუშკინის ეპოქიდან მოყოლებული რუსეთში ყველაზე პოპულარული *Veuve Clicquot* – „*კლიკოს ქვრივი*“ – რომელსაც რეიმსში 1772 წლიდან დღემდე აწარმოებენ) ბოთლების ბათქაბუთქით ახალი საუკუნის დადგომა 13 დღით გვიან აღნიშნეს: იმპერია ჯიუტად იცავდა იულიანურ კალენდარს, ანუ *ძველ სტილს*. XXI საუკუნეში ამ ანაქრონიზმის დამცველ ძირითად ბასტიონებად რჩება რამდენიმე ქრისტიანული ავტოკეფალური ეკლესია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საუკუნის დამდეგს მხოლოდ გაზეთები წარმოადგენდნენ. ტელევიზია ჯერ არ არსებობდა და სხვადასხვა ქვეყნებთან კოორდინირებული ზეიმის მოწყობა ძნელი იყო. ამდენად, XX საუკუნის დადგომა ისე პომპეზურად არ აღნიშნულა, როგორც 2000 (sic!) წლის 1 იანვარს ე.წ. „მესამე მილენიუმის“ შემოსვლა.

რასაკვირველია, 2000 წლის 1 იანვრის გამოცხადება XXI საუკუნის დასაწყისად გიგანტური, პლანეტარული დონის მისტიფიკაცია იყო. სინამდვილეში, კალენდარული XX საუკუნე *2000 წლის 31 დეკემბერს* დამთავრდა.

მსოფლიოს დიდ ნაწილში XX საუკუნის დადგომა საერთოდ არ შეუნიშნავთ. მაგალითად, ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც, რამდენიმე მომცრო ბრიტანული პროტექტორატისა და სპარსეთის გამოკლებით, მოიცავდა მთელ ახლო აღმოსავლეთს, დღევანდელ ლიბიასა და ბალკანეთის ნაწილსაც კი, *ისლამურ მთვარის კალენდარს* იყენებდნენ: სტამბოლში იდგა *ჰიჯრით* 1316 წელი. ოსმალეთის სულტანი აბდულ-ჰამიდ II, რომელიც იმ დროისათვის უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნე მართავდა თავის გაკოტრებულ იმპერიას, ერთ-

დროულად ხალიფაც იყო და ამიტომ მსოფლიოს ყველა მუსლიმის მეთაურობასაც იჩემებდა. მუსლიმების ახალი საუკუნე კი სულ სხვა დროს დადგებოდა და ის სულაც არ იქნებოდა *XX*.

ცვლილებები მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე

1901 წელს ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალებასთან ერთად დამთავრდა ხანგრძლივი *„ვიქტორიას ეპოქა“*. ეს ფაქტი შეიძლება დიდი ბრიტანეთის მსოფლიო ჰეგემონიის დასრულების ერთგვარ სიმბოლოდ მივიჩნიოთ, რისი გარდაუვალობაც XIX საუკუნის ბოლო დეკადებში გახდა ნათელი.

1901 წელს ბევრად უფრო დიდი დანაკარგი განიცადა კულტურამ: გარდაიცვალა გენიალური კომპოზიტორი *ჯუზეპე ვერდი*.

საუკუნის დამდეგს ევროპის დიდი ნაწილი იმპერიებში იყო გაერთიანებული. მთელ კონტინენტზე არსებობდა სულ ოცდასამი სუვერენული სახელმწიფო, ჯუჯა ქვეყნების – მონაკოს, სან-მარინოსა და ლიხტენშტაინის – ჩათვლით. ანდორა, რომლის არსებობასაც ალბათ დაინტერესებული მკითხველი შემახსენებს, ფორმალურად სუვერენული არ იყო (იხ. ნახ. 1).

ამ სახელმწიფოებიდან მხოლოდ სამი იყო რესპუბლიკა: უძველესი სან-მარინო, შვეიცარია და საფრანგეთი, დანარჩენი – მონარქიები. XXI საუკუნის დამდეგს კი ევროპაში ორჯერ მეტი სახელმწიფოა და მათ შორის მხოლოდ ათია მონარქია, დანარჩენში – რესპუბლიკური წყობაა.

ამერიკაში (ჩრდილოეთსა და სამხრეთში) არსებობდა ოცი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყველა – რესპუბლიკა. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში და ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე მრავლად იყო ევროპული სახელმწიფოების კოლონიები, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ბრიტანულ დომინიონს, კანადას, ეჭირა.

საუკუნის დამდეგის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე

დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, ნიდერლანდის, გერმანიის, ბელგიის ფერები დომინირებდა. აფრიკა და აზია ევროპულ ქვეყნებს ჰქონდათ დანაწილებული. აფრიკაში დამოუკიდებლად მხოლოდ ორი სახელმწიფო მიიჩნეოდა – აბისინია (ეთიოპია) და ლიბერია; სამხრეთ აფრიკის ბურების რესპუბლიკები ინგლისმა 1902 წელს დაიპყრო. აზიაში დამოუკიდებელი იყო მხოლოდ იაპონია, ჩინეთი, სიამი (ტაილანდი), ნეპალი, ავღანეთი, სპარსეთი, ოსმალეთი და ომანი.

1901 წლის 1 იანვარს ოფიციალურად შეიქმნა *ავსტრალიის კავშირი*, რომელიც ბრიტანეთის დომინიონად დარჩა. 1906 წელს ბრიტანული დომინიონი გახდა *ახალი ზელანდია*, ხოლო 1910 წელს – *სამხრეთ აფრიკის კავშირი.*

ოსმალეთში, სპარსეთსა და *ჩინეთში* საუკუნის პირველ დეკადებში *რევოლუციები* მოხდა. ევროპაში ეს ამბები სათანადოდ ვერ შეაფასეს, თუმცა აზიის ამ დიდმა ქვეყნებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს XX საუკუნის მოდერნიზაციისაკენ, რაც პრაქტიკულ შედეგს უფრო გვიან მოიტანს.

მეტროპოლიის – ინგლისის – კულტურულ-პოლიტიკური ზეგავლენით ინდოსტანის ნახევარკუნძულის პოლიტიკური ელიტა ყოველგვარი რევოლუციის გარეშე, თანდათან ეუფლებოდა დემოკრატიული წესებით ქვეყნის მართვას. საუკუნის დასაწყისში იქ უკვე მიმდინარეობდა ისეთი პოლიტიკური პროცესები, რომლებიც მოგვიანებით *ინდოეთს* დასავლური ტიპის დემოკრატიად გადააქცევენ.

1899-1902 წლებში წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ჯამში მსოფლიოს მოსახლეობის 10 პროცენტს არ აჭარბებდა, გაზეთების მეშვეობით ადევნებდა თვალს ბრიტანული არმიის ჯახირს *სამხრეთ აფრიკელი ბურების ორი პატარა რესპუბლიკის* დასამორჩილებლად.

მანამდე უძლეველ ალბიონს, რომელიც თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ამაყად აფრიალებდა თავის დროშას, „*იუნიონ ჯეკს*“, ყველა ოკეანეზე და მსოფლიო ხმელეთის მეოთხედზე, ახლა ისეთი მოწინააღმდეგე შეხვდა, რომელზეც კბილების მომტვრევაც შეიძლებოდა.

ნახ. 1

ევროპის პოლიტიკური რუკა 1901 წელს

XIX საუკუნეში დიდ ბრიტანეთს სერიოზული სამხედრო მარცხი არ განუცდია. პირენეის ნახევარკუნძულზე ნაპოლეონის გამოცდილ მარშლებთან ომისას, ბრიტანელები, რომელთა არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან განსხვავებით, მცირე იყო, სახმელეთო ბრძოლებსაც იგებდნენ. ზღვაზე კი საუკუნეზე მეტხანს ბრიტანულ ფლოტს არცერთი ბრძოლა არ წაუგია. 1805 წელს – *ტრაფალგარი* და 1815 წელს – *ვატერლოო* ბრიტანული იარაღის ტრიუმფის სიმბოლოებად იქცა. მოკავშირეებთან ერთად, XIX საუკუნის შუაგულში, რუსეთის იმპერიასთან მოგებული *ყირიმის ომის* შემდეგ ბრიტანელებს ბრძოლა უხდებოდათ შუბებით, მშვილდ-ისრით, უარეს შემთხვევაში, ძველი მუშკეტებით შეიარაღებულ აფრიკელ ან აზიელ მოწინააღმდეგესთან,

რომელიც შეფილდში ჩამოსხმულ ხრახნილლულიან ქვემეხებს წინ ვერ დაუდგებოდა. ბურებს კი ევროპული იარაღი აღმოაჩნდათ და კარგადაც იბრძოლეს.

საბოლოოდ ბრიტანეთმა სამხრეთ აფრიკაში მაინც გაიმარჯვა. ბურებმა 1902 წელს დამარცხება აღიარეს. მათი ყოფილი რესპუბლიკები, სხვა ბრიტანულ კოლონიებთან ერთად, *სამხრეთ აფრიკის კავშირში* გაერთიანდნენ, რომელიც 1910 წელს თვითმმართველობის მქონე ბრიტანულ დომინიონად გარდაიქმნა.

გამარჯვების მიუხედავად, ბრიტანეთის სამხედრო პრესტიჟი შეირყა. ბერლინში ზოგიერთს, შესაძლოა, მცდარი ილუზია შეექმნა, რომ დიდი ბრიტანეთი „ქაღალდის ვეფხვია“!

ანგლო-ბურების ომი ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიფერენტულად აღიქმებოდა. 1901 წელს ტერორისტის მიერ *პრეზიდენტ მაკ-კინლის* მოკვლის შემდეგ გაპრეზიდენტებული ძალიან აქტიური *თეოდორ რუზველტის* დროს ვაშინგტონი კვლავინდებურად ამჯობინებდა ძველი სამყაროს მოვლენებისაგან გამიჯვნას და მოქმედებას *მონროს დოქტრინის* – „ამერიკა ამერიკელებისათვის“ – თანახმად. ლათინურ ამერიკაში კარგად იცოდნენ, რასაც გულისხმობდა *პრეზიდენტ მონროს* დროს, 1823 წელს, ჩამოყალიბებული ეს დოქტრინა: „მთელი ამერიკა – ჩრდილოამერიკელი გრინგოებისათვის“!

XX საუკუნის დამდეგს თეთრი სახლის ადმინისტრაციას ყველაზე მეტად აინტერესებდა *კოლუმბიის რესპუბლიკისათვის პანამის ყელის მოწყვეტა* და იქ ცალკე რესპუბლიკის შექმნა. ამერიკას ეს იმისათვის სჭირდებოდა, რომ წყნარი და ატლანტის ოკეანეების დამაკავშირებელი არხის გაყვანა უფრო იაფი დამჯდარიყო. არხი მყარ საფუძველს შეუქმნიდა ამერიკის ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ბატონობას წყნარ და ატლანტის ოკეანეებზე.

1903 წელს პანამა გამოეყო კოლუმბიას. აშშ-მა საწადელს მიაღწია და სასწრაფოდ ცნო სეპარატისტული *პანამის რესპუბლიკის* დამოუკიდებლობა. ეს წმინდა წყლის იმპერიალიზმი იყო, მაგრამ იმდროინდელი „საერთაშორისო საზოგა-

დოებრიობა“ ასეთივე იმპერიალისტებისაგან შედგებოდა და დიდ სახელმწიფოთაგან ვაშინგტონი არავის დაუგმია.

ვაშინგტონმა პანამის რესპუბლიკისაგან „უვადო მფლობელობაში“ მიიღო არხის ზონა და მხოლოდ 1999 წელს დააბრუნა ის არხთან ერთად, რომელიც სერიოზულ მოდერნიზაციას საჭიროებს.

პანამის არხი, რომელიც იმ ეპოქის ტექნოლოგიური შედეგრი იყო, 1914 წელს გაიხსნა. ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ არხის მშენებლობას სხვადასხვა ქვეყანაში დაქირავებული 30 ათასი მუშის სიცოცხლე შეეწირა. ისინი ძირითადად ტროპიკულმა ციებ-ცხელებამ იმსხვერპლა.

მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე XX საუკუნის დასაწყისში დიდი ცვლილებები არ მომხდარა: „მსოფლიო ნამცხვარი“ თითქმის დანაწილებული იყო. მაგრამ არსებობდა კოლონიების გადანაწილების სურვილი, უპირველესად – ბერლინში. სერიოზულ გეოპოლიტიკურ ძვრას ამზადებდა „*ბერლინ-ბაღდადის რკინიგზის*“ მშენებლობა, რასაც გერმანიის კაიზერის (იმპერატორის) მფარველობით ახორციელებდა გერმანული კომპანია „*ბაღდადის რკინიგზის საიმპერიო საზოგადოება*“: კაიზერი ოსმალეთის სულტანთანაც ლობირებდა ამ მშენებლობას. რკინიგზას უნდა უზრუნველეყო გერმანული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გავრცელება ინდოეთის ოკეანემდე. ეს დიდად აშფოთებდა ლონდონს. პირველი მსოფლიო ომის დროს მან მიაღწია კიდეც ამ რკინიგზის მშენებლობის ჩაშლას.

1907 წელს დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა ზღვარი დაუდეს ცენტრალურ აზიაში თავიანთ ხანგრძლივ გეოპოლიტიკურ მეტოქეობას, რომელიც „*დიდი თამაშის*“ (Great Game) სახელითაა ცნობილი. როგორც ჩანს, ორივე „ძველი იმპერიალისტი“ მიხვდა, რომ გერმანიის იმპერიის სახით მათ „ახალგაზრდა“ და უფრო აგრესიული მეტოქე ეზრდებოდათ. ლონდონი და პეტერბურგი მორიგდნენ ერთმანეთში, *რომ უარს აცხადებენ პრეტენზიაზე ტიბეტისა* და *ავღანეთის მიმართ:* მხარეები *ტიბეტზე* ჩინეთის სიუზერენიტეტს აღიარებდნენ. ჩინეთი იმ დროს სუსტი იყო, ამიტომაც ტიბეტი „არც მე, არც შენ, არამედ – პეკინს!“ ტიბეტელებს, რასაკ-

ვირველია, არავინ დაეკითხა, ვინ უნდოდათ თავის ბატონად. ეს XXI საუკუნესაც გადმოჰყვა პრობლემად.

ავღანეთი რუსულ შუა აზიასა და ბრიტანულ ინდოეთს (ამჟამად – პაკისტანს) შორის ბუფერულ სახელმწიფოდ იქცა. რუსეთი ავღანეთის საკუთრებად ცნობდა *ვახანის კორიდორს* – ბრიტანეთის მიერ XIX საუკუნის ბოლოს *ჰინდუყუშის ქედის* გასწვრივ შექმნილ ვიწრო, გრძელ მიწის მონაკვეთს, რომლითაც ავღანეთი ჩინეთს ებჯინებოდა. *ვახანის კორიდორი* მკაფიოდ მიჯნავდა რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიების სამფლობელოებს.

იმავე შეთანხმებით, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი *გავლენის სფეროებად იყოფდნენ სპარსეთს.* რუსეთის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა ჩრდილოეთ სპარსეთის 790 ათასი კვ. კილომეტრი (ფართობით დღევანდელი თურქეთის ტოლფასი); ბრიტანელები კმაყოფილდებოდნენ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უდაბური ნაწილით, რომელიც ბრიტანულ ინდოეთს ემეზობლებოდა და უფრო სტრატეგიულად იყო მნიშვნელოვანი, ვიდრე ეკონომიკურად (ფართობით სპარსეთის ეს ნაწილი დღევანდელ გერმანიას უტოლდებოდა). სპარსეთის ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ნეიტრალურ ზონად ცხადდებოდა (პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთის თანხმობით, იქ ბრიტანელები შევიდნენ). ყაჯართა დინასტიის შაჰანშაჰი თეირანიდან ნომინალურად აგრძელებდა სპარსეთის მართვას. ლონდონი და პეტერბურგი მას თვალთმაქცურად ჰპირდებოდნენ სამფლობელოს შენარჩუნებას. მაგრამ იმპერიალისტები წინდაწინვე მოემზადნენ დასუსტებული სპარსეთის გასანაწილებლად.

სპარსეთს, რომელიც 1935 წლიდან *ირანის* სახელითაა ცნობილი, მისდა საბედნიეროდ, მსოფლიოს პოლიტიკურმა განვითარებამ ტერიტორიული მთლიანობა შეუნარჩუნა. XX საუკუნეში მის წიაღში აღმოჩნდა ნავთობისა და გაზის ულევი მარაგი. მომძლავრებული ირანი საუკუნის ბოლოს თვითონ გახდა რეგიონის ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე.

1908 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ მოახდინა მის მიერვე 30 წლის წინ ოკუპირებული, ნაწილობრივ მუსლიმური,

სერბულენოვანი *ბოსნიისა და ჰერცეგოვინის* ანექსირება, რამაც სერბეთსა და სერბულენოვან ჩერნოგორიაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. სერბეთს თავად სურდა ამ ტერიტორიის შეერთება. დიდი სახელმწიფოების ჩარევის შედეგად თავიდან იქნა აცილებული ავსტრო-სერბული ომი, რომელიც შეიძლებოდა ევროპულ ომში გადაზრდილიყო. მაგრამ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრი – *სარაევო* – ექვსი წლის შემდეგ მაინც იქცა დიდი ომის დაწყების სიმბოლოდ, როცა სერბმა ტერორისტმა ამ ქალაქში მოკლა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე.

1910 წელს იაპონიამ მოახდინა თავისივე პროტექტორატის, *კორეის*, ანექსირება და 1945 წლამდე ერთიან სახელმწიფოს ქმნიდა მასთან ერთად. უკვე 1895 წლიდან იაპონიას ოკუპირებული ჰქონდა ნომინალურად ჩინეთის კუთვნილი კუნძული *ფორმოზა* (ტაივანი) და *რიუკიუს* კუნძულების მწკრივი.

1911 წელს იტალიამ ომის გზით წაართვა ოსმალეთის იმპერიას *ლიბია* (მაშინ მას *ტრიპოლიტანია* და *კირენაიკა* ერქვა) და *დოდეკანესის კუნძულები* მცირე აზიის სიახლოვეს. უფრო ადრე იტალიამ სომალი და ერიტრეა დაიპყრო და ამით დაიკმაყოფილა სნობური სწრაფვა, შესულიყო კოლონიური სახელმწიფოების პატივცემულ კოჰორტაში. ლიბია მაშინ უდაბური მიწა იყო და სხვა იმპერიალისტები მას არ დაჰხარბდნენ. ნავთობითა და გაზით მისი წიაღის სიმდიდრე ნახევარი საუკუნის შემდეგ გახდება ცნობილი, მაშინ, როდესაც იტალიას ყველა კოლონია უკვე დაკარგული ექნება.

ყოფილი ოსმალური სამფლობელოები, იმ დროისათვის კი სუვერენული სამეფოები – *სერბეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი* და შუა საუკუნეებიდანვე დამოუკიდებელი სამთავრო *ჩერნოგორია* (ევროპაში ცნობილი, როგორც *მონტენეგრო*) – 1912 წელს გაერთიანდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ და *ბალკანეთის პირველი ომის* მოგების შემდეგ თითქმის მთლიანად განდევნეს ოსმალები ევროპიდან, სადაც ისინი XIV საუკუნიდან მოყოლებული ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. *საბერძნეთმა* შეიერთა კუნძული კრეტა და ეგეოსის ზღვის კუნძულების უმრავლესობა.

ბულგარეთმა ეგეოსის ზღვაზე გასასვლელი მიიღო. *ალბანეთი* დამოუკიდებელი გახდა.

ოსმალეთის ხელში ხუთი საუკუნის განმავლობაში მყოფი *მაკედონიის* ტერიტორია სერბეთმა, საბერძნეთმა და ბულგარეთმა დაინაწილეს. აღსანიშნავია, რომ ეს დანაწილება XX საუკუნის ბოლოდან სერიოზულ პოლიტიკურ კოლიზიას ქმნის. სერბეთის მიერ შექმნილი იუგოსლავიის 1991 წელს დაშლის შემდეგ ერთ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს *მაკედონია* დაერქვა. იმავე სახელს ატარებს საბერძნეთის პროვინცია *მაკედონია*. საბერძნეთი, რომელიც მაკედონიას ისტორიულ ბერძნულ მიწად მიიჩნევს, კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმას, რომ მეზობელ სახელმწიფოს იგივე სახელი ერქვას, რაც მის პროვინციას. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნის ასეთი სახელის გამო საბერძნეთმა 2008 წელს ვეტო დაადო მაკედონიის შესვლას ნატო-ს შემადგენლობაში.

1913 წელს, *ბალკანეთის პირველი ომის* დამთავრებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, *სერბეთი*, *საბერძნეთი* და *რუმინეთი* გაერთიანდნენ ყოფილ მტერთან, *ოსმალეთთან*, ყოფილი მოკავშირის, *ბულგარეთის*, წინააღმდეგ, რომელსაც მეტისმეტად დიდი ტერიტორიული პრეტენზია აღმოაჩნდა, დაამარცხეს ის *ბალკანეთის მეორე ომში* და ჩამოართვეს ახალდაპყრობილი მიწები. ბულგარეთი იძულებული გახდა საბერძნეთისათვის დაეთმო ახალშეძენილი გასასვლელი ეგეოსის ზღვაზე, სერბეთმა და საბერძნეთმა მაკედონიის ნაწილები შეიერთეს, სამხრეთ დობრუჯა კი – რუმინეთმა. ოსმალეთმა დაიბრუნა ქ. ედირნე (ადრიანოპოლი). თურქეთის თანამედროვე საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სწორედ ბალკანეთის მეორე ომის შედეგად ჩამოყალიბდა.

რუსეთი არ დაეხმარა ერთმორწმუნე (მართლმადიდებელ) სლავურ ბულგარეთს, რადგან მის მეფეს არ სწყალობდა რუსეთის იმპერატორი. ესეც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ სერბეთის, რუმინეთისა და საბერძნეთის მიმართ რევანშის სურვილით ანთებული ბულგარეთი მალე დაწყებულ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკის მხარეს გამოვიდა და არა რუსეთისა, რომელიც სერბეთთან და რუმინეთთან მოკავშირეობდა.

დასავლეთ ევროპაში საუკუნის დასაწყისის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ შუა საუკუნეებში არსებული *ნორვეგიის სამეფოს დაბრუნება მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე*. ეს 1905 წელს მოხდა. მცირე ყოყმანის შემდეგ – ეომა თუ არა – შვედეთმა მაინც ამჯობინა, მშვიდობიანად მიენიჭებინა დამოუკიდებლობა თითქმის საუკუნის განმავლობაში მასთან დინასტიურ უნიაში მყოფი ნორვეგიისათვის, რომელმაც საყოველთაო არჩევნების გზით (!) მეფედ დანიელი უფლისწული დასვა.

გავიხსენოთ, რომ შექსპირის „ჰამლეტის“ ფინალი ზუსტად საპირისპიროა: იქ ნორვეგიელი უფლისწული ეუფლება უმეფოდ დარჩენილ დანიის სამეფოს!